

**ფურცელი-ჩანართი: ინფორმაცია პაციენტისთვის  
მედიტორი® 25გ  
აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტები  
აგომელატინი**

პრეპარატის მიღების დაწყებამდე, უურადლებით წაიკითხეთ ეს ჩანართი ბოლომდე, რადგანაც ის შეიცავს თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

- შეინახეთ ეს ფურცელი-ჩანართი. შეიძლება იგი კიდევ დაგჭირდეთ.
- თუ თქვენ გაგიჩნდათ დამატებითი კითხვები, მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.
- ეს პრეპარატი გამოწერილია პირადად თქვენთვის. არ შეიძლება მისი გადაცემა სხვა პირებისთვის. ამან შეიძლება ზიანი მიაუყოს მათ ჯანმრთელობას, იმის მიუხედავად, რომ მათი დაავადების სიმპტომები შეიძლება პარას თქვენსას.
- თუ თქვენ გაგიჩნდათ გვერდითი ეფექტები მათ შორის ისეთი, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ამ ჩანართში (ი. განყოფილება 4), შეატყობინეთ ამის შესახებ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

**ამ ჩანართში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:**

1. რა არის მედიტორი და რა შემთხვევაში გამოიყენება
2. რისი ცოდნაა აუცილებელი მედიტორის მიღების დაწყებამდე
3. როგორ მიიღება მედიტორი
4. შესაძლო გვერდითი მოქმედება
5. როგორ ინახება მედიტორი
6. შეფუთვის შემცველობა და სხვა ინფორმაცია

**1. რა არის მედიტორი და რა შემთხვევაში გამოიყენება**

მედიტორი შეიცავს აქტიურ კომპონენტს აგომელატინს. ის მიეკუთვნება სამედიცინო პრეპარატების ჯგუფს, რომელთაც ეწოდება ანტიდეპრესანტები. თქვენ მედიტორი დაგენიშნათ დეპრესიის სამკურნალოდ. მედიტორი ენტენდათ მოზრდილებს.

დეპრესია ეს არის განწყობის მუდმივი დარღვევა, რომელიც ხელს უშლის ადამიანს უოველდლიურ საქიანობაში. დეპრესიის სიმპტომები განსხვავდება ადამიანებში, მაგრამ მათ ჩვეულ კომპონენტებს წარმოადგენს ღრმა მოწყენილობა, წარუმატებლობის შეგრძნება, ინტერესის დაკარგვა საყვარელი საქმიანობის მიმართ, ძილის დარღვევა, შენელებულობის შეგრძნება, შფოთვის შეგრძნება, წონის ცვლილება. მედიტორის მოსალოდნელი სარგებელი დაკავშირებულია დეპრესიის სიმპტომების შემცირებასთან და თანდათან გაქრობასთან.

**2. რისი ცოდნაა აუცილებელი მედიტორის მიღების დაწყებამდე**

**რა შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოთ მედიტორი**

- თქვენ გაქვთ ალერგია აგომელატინის ან ამ სამკურნალო პრეპარატის სხვა კომპონენტის მიმართ (ჩამოთვლილია მე-6 განყოფილებაში),
- თუ თქვენ დარღვეული გაქვთ დვიმლის მუშაობა (დვიმლის ფუნქციის დარღვევა),
- თუ იღებთ ფლუორესინის (დეპრესიის სამკურნალო სხვა პრეპარატი) ან ციპროფლოქსაცინის (ანტიბიოტიკი),

**გაფრთხილებები და უსაფრთხოების ზომები**

მედიტორი შეიძლება თქვენთვის მიუღებელი აღმოჩნდეს რამდენიმე მიზეზის გამო:

- თუ იღებთ პრეპარატებს, რომელთა შესახებ ცნობილია, რომ ისინი ცვლიან დვიმლის მუშაობას. თქვენი ექიმი გეტვით, რომელ პრეპარატებზეა საუბარი.
- თუ თქვენ გაწუხებთ სიმსუქნე ან ჭარბი წონა, კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან.
- თუ თქვენ გაქვთ დიაბეტი, კონსულტაცია გაიარეთ თქვენს ექიმთან.
- თუ თქვენ აღმოგაჩნდათ დვიმლის ფერმენტების მომატებული დონე, მკურნალობამდე თქვენი ექიმი გადაწყვეტს, მისადებია თუ არა თქვენთვის მედიტორი.
- თუ გაწუხებთ ბიპოლარული დარღვევა, თუ წარსულში ან ამჟამად აღგენიშნებათ მანის სიმპტომები (ანომალურად მაღალი აგზებადობის და ემოციურობის პერიოდი), ამ პრეპარატის მიღების დაწყებამდე ან გაგრძელებამდე მიმართეთ ექიმს (ასევე ი. კურსულ გვერდითი მოქმედება>, განყოფილება 4.)
- თუ თქვენ გაქვთ დემენცია, ექიმი ჩატარებს ინდივიდუალურ შეფასებას, იმისთვის, რომ გაირკვეს უსაფრთხოა თუ არა თქვენს შემთხვევაში მედიტორის მიღება.

მედიტორით თერაპიის დროს:

ქმედებები, მიმართული დვიმლის ფუნქციის სერიოზული დარღვევების თავიდან ასაცილებლად:

- თერაპიის დაწყებამდე თქვენს ექიმს უნდა შეემოწმებინა თქვენი დვიმლის მუშაობა. ზოგიერთ პაციენტში, მედიტორით მკურნალობისას შეიძლება გაიზარდოს სისხლში დვიმლის ფერმენტების შემცველობა. ამიტომ აუცილებელია საკონტროლო ანალიზების ჩატარება შემდეგი სქემის შესაბამისად:

	თეარპიის დაწყების ან დოზის გაზრდის წინ	დაახლოებით 3 კვირა	დაახლოებით 6 კვირა	დაახლოებით 12 კვირა	დაახლოებით 24 კვირა
სისხლის ანალიზები	✓	✓	✓	✓	✓

ამ ანალიზების შედეგების საფუძველზე თქვენი ექიმი გადაწყვეტს საჭიროა თუ არა თქვენთვის მელიტორის დანიშნვა ან მისი მიღების გაგრძელება (ასევე იხ. <<როგორ მიღება მელიტორი>>, განყოფილება 3).

ყურადღებით დააკვირდით დვიძლის ფუნქციის დარღვევის ნიშნების და სიმპტომების შესაძლო განვითარებას.

- თუ თქვენ შეამჩნიეთ დვიძლის მხრივ პრობლემების ნიშნები და სიმპტომები: შარდის უზვეულო გამჭება, კანის/თვალების სკლერების გაყვითლება, ტკივილი მუცლის მარჯვენა ზედა არეში, უზვეულო დაღლილობა (განსაკუთრებით ზემოთჩამოთვლილ სხვა სიმპტომებთან კომბინაციაში) – სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს, რომელიც სავარაუდოდ, გირჩევთ მელიტორის მიღების შეწყვეტას.

მელიტორის ეფექტი 75 წელზე უფროსი ასაკის პაციენტებში დოკუმენტირებული არ არის, ამიტომ ამ ასაკობრივ ჯგუფში მელიტორის დანიშნვა არ შეიძლება.

**სუიციდური აზრები და დეპრესიის გაუარესება**

თუ გაქვთ დეპრესია, შეიძლება ზოგჯერ გაგიჩნდეთ საკუთარი თავისთვის ზიანის მიუენების ან თვითმკვლელობის აზრები. ეს შეიძლება გაძლიერდეს ანტიდეპრესანტების პირველი მიღებისას, რადგან ეს სამედიცინო პრეპარატები თავის მოქმედებას არ იწყებენ მაშინვე, ჩვეულებრივ მოქმედებენ ორი კვირის შემდეგ ან ზოგჯერ უფრო გვიან.

ყველაზე ხშირად, სავარაუდო, ასეთი აზრები შეიძლება გაგიჩნდეთ:

- თუ ადრეც გქონდათ საკუთარი თავისთვის ზიანის მიუენების ან თვითმკვლელობის აზრები,
- თუ ხართ ახალგაზრდა. კლინიკური კვლევების მონაცემები ანგენებს, რომ სუიციდური ქცევის რისკი იზრდება ახალგაზრდებში (25 წელზე ნაკლები ასაკის) ფსიქიატრიული მდგომარეობით, რომლებიც ხანგრძლივად იღებდნენ რომელიმე ანტიდეპრესანტს.

თუ თავში მოგდით საკუთარი თავისთვის ზიანის მიუენების ან თვითმკვლელობის აზრები, მაშინვე დაუკავშირდით თქვენს ექიმს ან მიმართეთ საავადმყოფოს.

შეიძლება თავი უკეთ იგრძნოთ, თუ ეტყვით რომელიმე ნათესავს ან ახლო მეგობარს, რომ გაქვთ დეპრესია და თხოვოთ წაგიდითხოთ ეს ბროშურა. შეიძლება თხოვოთ მათ, რომ გითხრან თუ მათი აზრით თქვენი დეპრესია ღრმავდება და თუ შეშფოთებული არიან თქვენი ქცევის ცვალებადობით.

**ბაგზვები და მოზარდები**

მელიტორის მიღება არ შეიძლება ბაგზვებისთვის და მოზარდებისთვის (18 წლამდე)

**სხვა პრეპარატები და მელიტორი**

აცნობეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს, თუ თქვენ დებულობთ, დებულობდით უახლოეს წარსულში ან შესაძლოა მიიღოთ ნებისმიერი სხვა პრეპარატები.

თქვენ არ უნდა მიიღოთ მელიტორი ზოგიერთ სხვა პრეპარატთან ერთად (იხ. აგრეთვე <<რა შემთხვევებში არ უნდა გამოიყენოთ მელიტორი>> განყოფილებაში 2): ფლუორესინს (დეპრესიის სამკურნალო სხვა პრეპარატი) და ციპროფლოქსაცინს (ანტიბიოტიკი) შეუძლიათ სისხლში აგომელატინის მოსალოდნელი დოზის შეცვლა. აუცილებლად აცნობეთ თქვენს ექიმს თუ თქვენ დებულობთ შემდეგ პრეპარატებს: პროპრანილოლი (პიპერტენზინის სამკურნალო ბეტა-ბლოკატორი), ენოქსაცინი (ანტიბიოტიკი), ასევე თუ თქვენ ეწევით დღეში 15 სიგარეტზე მეტს.

**მელიტორი და სპირტიანი სასმელები**

მელიტორით თერაპიის დროს ალკოჰოლის გამოყენება რეკომენდებული არ არის.

**ორსულობა და ლატეაცია**

თუ თქვენ ხართ ორსულად ან კვებავთ ბაგზვს ძუძუთი, ფიქრობთ, რომ ხართ ორსულად ან გეგმავთ ორსულობას, ნებისმიერი სამედიცინო პრეპარატის გამოყენებამდე კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან ან ფარმაცევტთან.

თუ თქვენ დაგენიშნებათ მელიტორი, საჭირო გახდება ძუძუთი კვების შეწყვეტა.

**აგზოტრანსპორტის და მექანიზმების მართვა:**

თქვენ შეიძლება გაგინვითარდეთ თაგბრუსხევევა ან ძილიანობა, რამაც შეიძლება იმოქმედოს თქვენს უნარზე მართოთ ავტოტრანსპორტი ან მექანიზმები. საჭესთან დაჯდომამდე ან მექანიზმებთან მუშაობის დაწყებამდე, დარწმუნდით, რომ თქვენი რეაქციები შეესაბამება ნორმას.

### **მელიტორი შეიცავს ლაქტოზას**

თუ ექიმმა გითხრათ, რომ გაგაჩნიათ ზოგიერთი სახის შაქრის აუტანლობა, მელიტორის მიღებამდე კონსულტაცია გაიარეთ თქვენს მკურნალ ექიმთან.

### **მელიტორი შეიცავს ნატრიუმს**

მელიტორი ერთ ტაბლეტში შეიცავს 1მმოლ-ზე (23მგ) ნაკლებ ნატრიუმს, ანუ პრაქტიკულად არ შეიცავს ნატრიუმს.

### **3. როგორ მიიღება მელიტორი**

მელიტორის მიღებისას უოველოვის მკაცრად დაიცავით ექიმის ან ფარმაცევტის მითითებები. თუ ეჭვი გებარებათ პრეპარატის მიღების სისწორეში, მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

მელიტორის რეკომენდებული დოზა - 1 ტაბლეტი (25მგ) ძილის წინ. ზოგიერთ შემთხვევაში ექიმმა შეიძლება დაგინიშნოთ უფრო მაღალი დოზა (50მგ), ანუ ორი ტაბლეტი ერთდროულად, ძილის წინ.

### **მიღების მეთოდი**

მელიტორი განეუთვილია პერიოდური მიღებისთვის. ტაბლეტები უნდა გადაიყლაპოს, წყლის დაყოლებით. მელიტორის მიღება შეიძლება როგორც საკების მიღებისას ასევე მისგან დამოუკიდებლად.

### **მკურნალობის ხანგრძლივობა**

დეპრესიის მქონე ადამიანების უმრავლესობაში მელიტორი სიმპტომებზე მოქმედებას იწყებს მკურნალობის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში.

დეპრესიის თერაპია უნდა გაგრძელდეს საქმარისი დროის განმავლობაში, არა ნაკლებ 6 თვე, სიმპტომების სრულად გაქრობაში დასარწმუნებლად.

როდესაც თავს უკეთ იგრძნობთ, დეპრესიის რეციდივის თავიდან ასაცილებლად, ექიმმა შეიძლება გააგრძელოს მელიტორის დანიშნვა.

თუ თქვენ დარღვეული გაქვთ თირკმელების მუშოაბა. ექიმი ჩაატარებს ინდივიდუალურ შეფასებას, იმისთვის, რომ უსაფრთხოა თუ არა პრეპარატი მელიტორი თქვენთვის.

### **დვიძლის ფუნქციის მონიტორინგი (ასევე იხილეთ განყოფილება 2)**

თერაპიის დაწყებამდე ექიმი დაგრინიშნავთ ანალიზებს, იმისთვის, რომ შეაფასოს დვიძლის მუშოაბა, ხოლო შემდეგ პერიოდულად მკურნალობის მიმდინარეობისას, ჩვეულებრივად 3 კვირის, 6 კვირის, 12 კვირის და 24 კვირის შემდეგ.

თუ ექიმი გაზრდის დოზას 50მგ-მდე, ანალიზები უნდა ჩატარდეს მკურნალობის დააწყებამდე, ხოლო შემდეგ პერიოდულად, მკურნალობის მიმდინარეობისას, ჩვეულებრივად 3 კვირის, 6 კვირის, 12 კვირის და 24 კვირის შემდეგ. ამის შემდეგ ანალიზები შემოწმდება იმ შემთხვევაში თუ ამას საჭიროდ ჩათვლის ექიმი.

თქვენ არ უნდა მიიღოთ მელიტორი თუ თუ გაქვთ დვიძლის მუშაობის დარღვევა.

როგორ უნდა მოხდეს დეპრესიის ხაწინააღმდეგო პრეპარატებიდან (სეროტონინის უკუმიტაცების სელექციური ინჰიბიტორები/სეროტონინის და ნორადრეზნალინის უკუმიტაცების სელექციური ინპიბიტორები) მელიტორით თერაპიაზე გადასცლა?

თუ თქვენი ექიმი გადაწყევებს ჩაანაცვლოს სეროტონინის უკუმიტაცების სელექციური ინპიბიტორებით ან სეროტონინის და ნორადრეზნალინის უკუმიტაცების სელექციური ინპიბიტორებით თერაპია მელიტორით, ის როგორც წესი მოგცემთ რჩევას, რომ მელიტორის მიღების დაწყებამდე შეწყვიტოთ მიმდინარე თერაპია.

რამდენიმე კვირის განმავლობაში თქვენ შეიძლება განიცდიდეთ წინამორბედი თერაპიის შეწყვეტასთან დაკავშირებულ სიმპტომებს, იმის მიუხედავად, რომ თქვენ თანდათან ამცირებდით დეპრესიის საწინააღმდეგო პრეპარატების დოზას.

თერაპიის შეწყვეტის სიმპტომები მოიცავს თავბრუსხევებას, დაბუქებას, ძილის დარღვევებას, აგზნებულ მდგრამარებას ან შფოთვას, თავის ტკივილს, გულისრევებას, ღებინებას და კანგალს. ამ მოვლენებს გააჩნია მსუბუქი და ზომიერი ხასიათი და სპონტანურად ქრება რამდენიმე დღის განმავლობაში.

თუ მელიტორის მიღება იწყება ადრე მიღებული პრეპარატის დოზის შემცირების პერიოდში, მოსახსნელი პრეპარატის მიღების შეწყვეტის სიმპტომების შესაძლო განვითარება არ უნდა ჩაითვალოს მელიტორის ადრეული ეფექტის არ არსებობად.

მელიტორის მიღების დააწევებამდე თქვენ, თქვენს ექიმთან ერთად უნდა შეარჩიოთ, ადრე დანიშნული დეპრესიის საწინააღმდეგო პრეპარატის მიღების შეწყვეტის საუკეთესო მეთოდი.

### თუ თქვენ მიიღეთ რეკომენდებულზე მეტი მელიტორი

თუ თქვენ მიიღეთ დანიშნულზე მეტი მელიტორი ან თუ პრეპარატი შემთხვევით გადაყდაპა ბავშვმა, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

მელიტორის ჭარბი დოზირების გამოცდილება ძალიან შეზღუდულია, მაგრამ სიმპტომებს შორის აღინიშნება ტკივილი მუცლის ზედა ნაწილში, ძილიანობა, დაღლილობა, აგზება, მოუსვენრობა, დაძაბულობა, თავბრუსხვევა, ციანოზი და შეუძლოდ ყოფნა.

### თუ თქვენ დაგავიწყდათ მელიტორის მიღება

არ გააორმაგოთ მომდევნო დოზა. უბრალოდ მიიღეთ ის ჩვეულ დროს.

ტაბლეტების შემცველი კონტურულ-უჯრედულ ბლისტერზე დაბეჭდილი კალენდარი დაგეხმარებათ გაიხსენოთ, ბოლოს როდის მიიღეთ მელიტორი.

### თუ თქვენ წყვეტი მელიტორის მიღებას

არ შეწყვიტოთ პრეპარატის მიღება ექიმის კონსულტაციის გარეშე, იმ შემთხვევაშიც კი თავს უკეთ გრძნიობთ.

თუ თქვენ გაგიჩნდათ დამატებითი კითხვები პრეპარატის მიღებასთან დაკავშირებით, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

### 4. შესაძლო გვერდითი მოქმედება

როგორც ყველა სამკურნალო პრეპარატმა, ამ წამალმაც, თუმცა არა ყველა პაციენტში, შეიძლება გამოიწვიოს გერდითი ეფექტების უმრავლესობა მსუბუქი ან ზომიერია. ისინი ჩვეულებრივ ვითარდევა მკურნალობის პირველი ორი კვირის განმავლობაში და გააჩნიათ დროებითი ხასიათი.

ამ გერდით ეფექტებს მიეკუთვნება:

- ძალიან გავრცელებული გვერდითი ეფექტები (შეიძლება განვითარდეს 10-დან 1-ზე მეტ პაციენტში): თავის ტკივილი
- გავრცელებული გვერდითი ეფექტები (შეიძლება განვითარდეს 10-დან 1 პაციენტში): თავბრუსხვევა, ძილიანობა, დაძინების გაძნელება (ინსომნია), გულისრევა, დიარეა, ყაბზობა, ტკივილი მუცლის არეში, ტკივილი ზურგის არეში, დაღლილობა, შფოთვა, უცნაური სიზმრები, სისხლში დვიძლის ფერმენტების შემცველობის მომატება, დებინება, სხეულის მასის გაზრდა.
- არაგავრცელებული გვერდითი ეფექტები (შეიძლება განვითარდეს 100-დან 1 პაციენტში): შაკიკი, ჩხვლების შეგრძნება ხელის და ფეხის თითებში (პარესოზზია), მხედველობის სიმახეილის დარღვევა, მოუსვენარი ფეხების სინდრომი (დარღვევა, რომელსაც ახასიათებს ფეხების არაკონტროლირებადი მოძრაობის მოთხოვნილება), უკრებში შუილი, ეგზემა, მომატებული ოფლიანობა (პიპერიდორზი), ქავილი, ჭინჭრის ციება (ურტიკარული გამონაყარი), აგზებადობა, გაღიზიანებულობა, მოუსვენრობა, აგრესიული ქცევა, დამის კოშმარები, მანია/ჰიპომანია (იხ. ასევე <<გაფრთხილებები და უსაფრთხოების ზომები>> განციფრებაში 2), სუიციდური აზრები ან ქცევა, ცნობიერების აღრევა, სხეულის მასის შემცირება, ტკივილი კუნთებში.
- იშვიათი გვერდითი ეფექტები (შეიძლება განვითარდეს 1000-დან 1 პაციენტში): კანის სერიოზული გამონაყარი (ერიოთემული გამონაყარი), სახის შეშუპება (გასიება) და ანგიოშეშეკება (სახის, ტუჩების, ენის ან/და ხორხის შეშუპება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სუნთქვის და ყლაპვის გაძნელება), პეპატიტი, კანის ან თვალის სკლერების გაყვითლება (სიყვითლე), დვიძლის უკმარისობა\*, ჰალუცინაციები, სიმშევის შენარჩუნების შეუძლებლობა (ფიზიკური და მენტალური მოუსვენრობის გამო), შარდის ბუშტის ბოლომდე დაცლის შეუძლებლობა.

\*არსებობს ლეტალური შედეგის და დვიძლის გადანერგვის შესახებ შეტყობინებების უმნიშვნელო რიცხვი.

### გვერდით ეფექტებზე შეტყობინებების შეგროვება

თუ თქვენ გაგიზითარდათ ნებისმიერი გვერდითი ეფექტები, მათ შორის ისეთი, რომელიც არ არის აღწერილი ამ ჩანართში, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს. გვერდითი ეფექტების შეტყობინების გაკეთება შესაძლებელია პირდაპირ შეტყობინებების სახელმწიფო სისტემის საშუალებით, რომელიც აღწერილია დანართში V. გვერდითი ეფექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით თქვენ შეგაქვთ წვლილი აღნიშნული სამკურნალო საშუალების უსაფრთხოების პროფილთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგვებაში.

### 5. როგორ ინახება მელიტორი

ეს სამკურნალო პრეპარატი ინახება ბავშვებისთვის მიუწვდომელ და უხილავ ადგილზე.

ეს სამკურნალო პრეპარატი არ გამოიყენება მუჟაოს კოლოფზე და კონტურულ-უჯრედულ შეფუთვაზე მითითებული ვარგისობის ვადის ამოწურვის შემდეგ. ვარგისობის ვადაში იგულისხმება მითითებული თვის ბოლო დღე.

ინახება არა უმეტეს 30°C ტემპერატურაზე.

არ შეიძლება წამლების ჩაგდება კანალიზაციაში და საყოფაცხოვრებო ნარჩენებში. პკითხეთ ფარმაცევტს, თუ როგორ უნდა განტავისუფლდეთ წამლებისგან, რომელთა გამოყენებაც დასრულებულია. ეს ლონისძიებები მიმართულია გარემოს დაცვისკენ.

## 6. შეფუთვის შემცველობა და სხვა ინფორმაცია

რას შეიცავს მელიტორი:

- აქტიურ კომპონენტს წარმოადგენს აგომელატინი. აპკიანი გარსით დაფარული ყოველი ტაბლეტი შეიცავს 25მგ აგომელატინს.
- სხვა კომპონენტები:
- ლაქტოზის მონოპიდრატი, სიმინდის სახამებელი, პოვიდონი (K30), ნატრიუმის სახამებელ-გლიკოლატი (ტიპი A), სტეარინმავა, მაგნიუმის სტეარატი, სილიციუმის კოლოიდური უწყლო დიოქსიდი.
- ჰიპორომელოზა, გლიცერინი, მაკროგოლი (6000), რკინის ყვითელი ოქსიდი (E172) და ტიტანის დიოქსიდი (E171),
- საბეჭდი საღებავი: შელაქი, პროპილენგლიკოლი და ინდიგოტინის ალუმინის ლაქი (E132).

როგორ გამოიყერება მელიტორი და შეფუთვა

მელიტორი 25მგ (ტაბლეტები) – ეს არის ყვითელ-ნარინჯისფერი, მოგრძო, აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტი, ფირმის ცისფერი ლოგოტიპით  ერთ მხარეს.

მელიტორი 25მგ აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტები გამოდის კონტურულ-უჯრედულ შეფუთვაში, კალენდრით. კოლოფი შეიცავს 14, 28, 56, 84 და 98 ტაბლეტს. სტაციონარებისთვის ასევე გამოდის კოლოფები აპკიანი გარსით დაფარული 100 ტაბლეტით.

შეიძლება თქვენს ქვეყანაში ყველა დაფასოება არ იყოს.

საგაჭრო ლიცენზიის მფლობელი და მწარმოებელი:

### საგაჭრო ლიცენზიის მფლობელი

Les Laboratoires Servier/ლუ ლაბორატურ სერვის  
50, rue Carnot  
92284 Suresnes cedex  
France-საფრანგეთი

### მწარმოებელი

Les Laboratoires Servier Industrie/ლუ ლაბორატურ სერვის ინდუსტრი  
905, route de Saran  
45520 Gidy - საფრანგეთი  
ას  
Servier (Ireland) Industries Ltd/სერვის (ირლანდია)  
ინდასტრიზ ლტდ  
Gorey road  
Arklow - Co.Wicklow - ირლანდია

### გაცემის პირობები:

სამედიცინო პრეპარატი გაიცემა ექიმის რეცეპტით.

ჩანართის ბოლო გადახედვის თარიღი: 10.2020

გაცემის რეჟიმი: II ჯგუფი, გაიცემა ფორმა №3 რეცეპტით